



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ.ოზურგეთი

N 100  
31/07/2017

100-03-4-201707311805



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„გენო ბაბილოძისათვის, ნაკისრი მოვალეობებისაგან განთავისუფლების გარეშე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის კომპიუტერული უზრუნველყოფის, ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის, საჯარო ინფორმაციის საკითხებში დაკისრების თაობაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 31 ივლისის N99 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „გენო ბაბილოძისათვის, ნაკისრი მოვალეობებისაგან განთავისუფლების გარეშე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის კომპიუტერული უზრუნველყოფის, ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის, საჯარო ინფორმაციის საკითხებში დაკისრების თაობაზე“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2017

წლის 31 ივლისის N99 ბრძანებაში და ბრძანების 1-ლი და მე-2 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) **„მუხლი 1.** 2017 წლის 1 აგვისტოდან - 14 აგვისტოს ჩათვლით გენო ბაბილოძეს ნაკისრი ვალდებულებებისგან განთავისუფლების გარეშე დაეკისროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის კომპიუტერული უზრუნველყოფის, ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის, საჯარო ინფორმაციის საკითხებში მოვალეობების შესრულება.“.


ბ) **„მუხლი 2.** ამ ბრძანების შესაბამისად, გენო ბაბილოძეს კუთვნილი ხელფასის გარდა დამატებით მიეცეს ანაზღაურება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის კომპიუტერული უზრუნველყოფის, ვებ-გვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის, საჯარო ინფორმაციის საკითხებში თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.“.

**მუხლი 2.** ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი  
ხელმძღვანელობა